ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N38

2021 წლის 25 ივნისი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის პლაჟების) 2021 წლის საკურორტო სეზონისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 ივნისის N01-14/6867 მომართვის შესაბამისად:

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით განკარგოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (2021 წლის 1 ოქტომბრამდე) დროებითი ტიპის კაფე-ბარების (მათ შორის ბუნგალოების), სავაჭრო, გასართობი ობიექტების და ზღვისპირა სანაპირო ზოლში (პლაჟი) შეზლონგებისა და ზომამცირე მცურავი საშუალებების (კატარღა, მოტონავი, ჰიდროციკლი, წყლის ველოსიპედი, კატამარანი, ნავი და სხვა მცურავი საშუალებები) განთავსების მიზნით;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N25 განკარგულება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი